ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგმართავთ ქ.თბილისის ალ.ყაზბეგის გამზირი №34-ის მიმდებარე ტერიტორიის (ე.წ „შანხაის დასახლების“) ედიშერ მაღალაშვილის, გიორგი გეგეჭკორის და მედეა ჩახავას ქუჩების მაცხოვრებლები.

ჩვენს დასახლებაში მდებარეობს შპს „სბ“-სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით №01.14.03.040.311 (ნაკვეთის წინა ნომერი №01.14.03.040.276); რომლის ფართიც საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზაში ფიქსირდება როგორც 3 785 კვ.მ. აღნიშნული ფართის დიდი ნაწილი (2 485 კვ.მ) მოიცავს მ. ჩახავას და გ.გეგეჭკორის ქუჩების და ასევე მ.ბარათაშვილის ჩიხის სავალი გზები ფართებს.

№01.14.03.040.311 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის შპს „სბ“-ს მფლობელობაში გადავიდა მიმდინარე წლის ინვნისის თვეში და ჩვენი ინფორმაციით ნაკვეთზე იგეგმება მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, შესაბამისად მოგმართავთ თხოვნით:

1) საკადასტრო კოდით №01.14.03.040.311 დარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის კ-1 და კ-2 კოეფიციენტების მინიჭების დროს გათვალისწინებული იქნას, რომ მეპატრონეს მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის რეალური ფართი შეადგენს 1 300 კვ.მ-ს, ხოლო დანარჩენი 2 485 კვ.მ წარმოადგენს ოფიციალურად რეგისტრირებულ საჯარო გზებს და შესაბამისად საცხოვრებელი კორპუსის დაპროექტების დროს კ-1 და კ-2 კოეფიციენტების გამოთვლა უნდა მოხდეს 1 300 კვ.მ-დან და არა 3 785 კვ.მ-დან. იხილეთ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 13 ივლისის №27 სხდომის ოქმი, სადაც მიეცა თანხმობა საცხოვრებელი ზონა 6-ის სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილებას და შემდგომში გადაწყვეტილება დამტკიცებული იქნა საკრებულოს 2011 წლის 26 აგვისტოს სხდომაზე (გადაწყვეტილება №9-42).

2) მერიის მხრიდან მოხდეს ჩვენი, როგორც დაინტერესებული მხარის, რეგულარული ინფორმირება აღნიშნულ ნაკვეთთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის განაცხადის, წერილისა თუ პროექტის შეტანის შესახებ მერიის სხვადასხვა სამსახურებში, რათა მეპატრონეებთან ერთად ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა საკითხების განხილვაში.

ასევე მოგახსენებთ, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩვენ რამოდენიმე წერილით მივმართეთ ქალაქის მერს და მერიის სხვადასხვა სამსახურებს აღნიშნულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებულ საკითხებზე და გვქონდა კიდევაც შეხვედრები პასუხისმგებელ პირებთან.

წინასწარ დიდ მადლობას გიხდით გამოპასუხებითვის.

ედიშერ მაღალაშვილის, გიორგი გეგეჭკორის და მედეა ჩახავას ქუჩების მაცხოვრებლების საინიციატივო ჯგუფი :

1. [illegible] – [illegible] – 01008010521
2. [illegible] – [illegible] – 01015005079
3. [illegible] – [illegible] – 01024025257
4. [illegible] – [illegible] – 55001000119

5. [illegible] - 01024003300
6. [illegible] - 01020003405
7. [illegible] - 01007004387
8. [illegible] - 01005001713
9. [illegible] - 55001027287
10. [illegible] - 01008005269
11. [illegible] - 01008006125
12. [illegible] - 01006012144
13. [illegible] - 01006012145
14. [illegible] - 01005024019
15. [illegible] - 01005023207
16. [illegible] - 01024011866
17. [illegible] - 01005005653
18 [illegible] 01011004814
[illegible] 01023008182
20 [illegible] 01024028660
21. [illegible] 65007000013
22. [illegible]
23. [illegible] 18001001472
24. [illegible]
25. [illegible] 01030034426